

შიდა ქართლის გუბერნიაში რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე იმსჯელებს

03 აპრილი 2017

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გუბერნატორის, კახა სამხარაძის ინიციატივით სამუშაო შეხვედრა მოეწყო, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალის მიმოხილვას. შეხვედრას რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, ტურისტული სამსახურების ხელმძღვანელები, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი სოსიაშვილი და გორისა და ატენის მიტროპოლიტი, მეუფე ანდრია ესწრებოდა. დამსწრეებმა რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე იმსჯელებს და განიხილეს ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს შიდა ქართლის მხარის ერთ-ერთ კულტურულ-ტურისტულ ცენტრად გადაქცევას. რწმუნებულის თქმით, მნიშვნელოვანია ყველა იმ რესურსის სასიკეთოდ გამოყენება, რაც რეგიონს გააჩნია, ასევე, აუცილებელია აქტიურად შეუწყოს ხელი თითოეულმა მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ პროცესს, რათა საბოლოოდ ერთიანი პროდუქტი შეიქმნას. მხარეები სამომავლოდ ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.